ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ია გაბედავა

კოლეგიის წევრი - არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ვ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №026/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 19 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 02 აპრილს დამატებით წარმოადგინა ახსნა-განმარტება. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 18 აპრილს ვ. დ.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 14 ივნისს მან ადვოკატ ლ. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა. ადვოკატს პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა ეწარმოებინა ვ. დ.-ის საქმე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარესთან დავის საგნის ღირებულება 150 (ას ორმოცდაათი) ლარი იყო, ადვოკატმა ლ. ბ.-მ კი მოცემული საქმის წარმოებისთვის ჰონორარის სახით - 500 (ხუთასი) ლარი მოსთხოვა, თუმცა უთხრა, რომ სასამართლოს გზით, აღნიშნული თანხის გადახდასაც მოთხოვნდნენ მოპასუხე მხარეს და ამ

გზით, თანხა დაუბრუნდებოდა, რის შემდგომაც, ვ. დ.-მ ადვოკატს გადაურიცხა 500 (ხუთასი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის თავის მეუღლესთან ერთად მივიდა ადვოკატის ოფისსში და მათი ძალისხმევის შედეგად 2018 წლის 18 ივლისს მასსა და ლ. ბ.-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელი მან თავად მოამზადა და შეაგროვა მტკიცებულებები, ადვოკატმა გადახედა აღნიშნულ დოკუმენტს და უთხრა, რომ სასამართლოს კანცელარიაში ჩაებარებინა სარჩელი. ვ. დ.-ის განცხადებით, ადვოკატმა სარჩელში არ მიათითებინა მისი, როგორც წარმომადგენლის სახელი და გვარი, რადგან მან უთხრა, რომ „არ იყო საჭირო". საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტებით, ის მიდიოდა ადვოკატის ოფისში, სადაც მისცეს „რაღაც დაწერილი თუმცა ბევრი შეცდომა იყო", სასამართლოში წასვლის წინ ადვოკატმა უთხრა რომ ეს სარჩელი „კარგია და ჩააბარეო".

1.5 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 21 ივლისს ჩააბარა სარჩელი სასამართლოს კანცელარიაში და ადვოკატმა განუცხადა, რომ საქმის თაობაზე ინფორმაციას თავად მიაწვდიდა. ვ. დ.-ის განცხადებით, მან სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით გაარკვია, რომ უარი ეთქვა საქმის განხილვაზე. 2017 წლის 10 აგვისტოს ადვოკატმა ლ. ბ.-მ დაურეკა ვ. დ.-ს და განუცხადა, რომ მას სოციალური მომსახურების ცენტრიდან უნდა აეღო ცნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, 100 (ასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის საფასურის გადახდა მოუწევდა იმისათვის, რომ სასამათლოს მისი საქმე განეხილა. საჩივრის ავტორი მეორე დღეს შეხვდა ადვოკატს და გადასცა ზემოაღნიშნული ცნობა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დაპირდა მას რომ ხელმეორედ მიმართავდა სასამართლოს მის საქმეზე. ვ. დ. აგვისტოს ბოლოს დაუკავშირდა ადვოკატს და განუცხადა, რომ უკვე სასამართლოს კანცელარიაში ჩააბარა სარჩელი, თუმცა ყველა მოსამართლე შვებულებაში იყო და ჯერ საქმე არ განიხილებოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის სექტემბრის ბოლოს მოიკითხა ადვოკატთან თავის საქმე, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე არჩევნების გამო საქმე ოქტომბერში განიხილებოდა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით შეიტყო რომ ადვოკატს მის საქმესთან დაკავშირებით სარჩელი არ შეუტანია, რის შემდგომაც, დაუკავშირდა ადვოკატს, რომელმაც განუცხადა, რომ ნამდვილად არ ჩაუბარებია სარჩელი, რადგან ბევრი საქმე ჰქონდა, არ ეცალა და ტელეფონი გათიშა.

1.9 ვ. დ.-ის განცხადებით, მან ადვოკატს მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება, რადგან მის საქმესთან დაკავშირებით არაფერი გააკეთა. ადვოკატი დაპირდა საჩივრის ავტორს, რომ 2017 წლის ოქტომბრის ბოლომდე თანხას დაუბრუნებდა, რადგანაც „ვაღიარებ რომ ჩემი ბრალიაო". ვ. დ. ამის შემდგომ, ექვსი თვის მანძილზე უკავშირდებოდა ადვოკატს, რომელიც პირდებოდა თანხის დაბრუნებას, მათ შორის მისი თანაშემწე ეუბნებოდა რომ ბანკის მეშვეობით გადაურიცხეს თანხა, თუმცა საჩივრის ავტორის სახელზე არანაირი ფულადი გადარიცხვა არ განხორციელებულა.

2. მოწმე დ. ჭ.-ის ახსნა-განმარტება:

2.1 მოწმე დ. ჭ.-ის მიერ 2018 წლის 02 აპრილს წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, მის მეუღლეს ვ. დ.-ს 150 ლარზე ჰქონდა დავა. ადვოკატმა ლ. ბ.-მ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჰონორარის სახით 500 (ხუთასი) ლარის ჩარიცხვა მოითხოვა.

2.2 მოწმის განცხადებით, მან ვ. დ.-ს უთხრა, რომ ასეთი ცოტა თანხის დავაზე ამდენი ოდენობის ჰონორარი როგორ უნდა გადაეხადა. დ. ჭ.-ის განმარტებით, მისმა მეუღლემ უთხრა, რომ ადვოკატმა მისცა გარანტია საქმის მოგების და სასამართლოს გზით ჰონორარის თანხის ანაზღაურებასაც მოითხოვნდნენ.

2.3 მოწმის განცხადებით, ვ. დ.-მ გადაურიცხა ადვოკატს ჰონორარი - 500 (ხუთასი) ლარი, თუმცა ერთი თვის განმავლობაში პირდებოდა ადვოკატი საქმის დაწყებას. მოწმის განმარტებით, ვ. დ.-მ უთხრა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადვოკატს არ ჰქონდა გაფორმებული, რის შემდეგაც ისინი ერთად წავიდნენ ადვოკატთან ოფისში. მოწმის განმარტებით, ადვოკატი ძალიან აგრესიულად განეწყო მის მიმართ და უთხრა „შენ ვინ ხარ, ვინ გკითხავსო“.

2.4 მოწმის განმარტებით, მისი ძალისხმევის შედეგად გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ვ. დ.-სა და ლ. ბ.-ს შორის. დ. ჭ.-ის განცხადებით, ვინაიდან სარჩელის განხილვაზე უარი თქვა სასამართლომ, ლ. ბ.-მ განაცხადა, რომ სარჩელს შეასწორებდა და თავიდან მიმართავდა სასამართლოს. ამავე დროს, ვ. დ.-მ აიღო სოციალურად დაუცველის ცნობა და გადასცა ადვოკატს სარჩელზე დართვისათვის.

2.5 მოწმის განცხადებით, აგვისტოს თვეში ვ. დ. დაუკავშირდა ადვოკატ ლ. ბ.-ს, რომელმაც განუცხადა, რომ უკვე სარჩელი შეტანილი ჰქონდა სასამართლოში, თუმცა ყველა მოსამართლე შვებულებაშია და საქმე ჯერ არ განიხილებაო. ვ. დ. სექტემბრის თვეში დაუკავშირდა ადვოკატს, თუმცა მან კვლავ უთხრა, რომ საქმე ჯერ არ განიხილებოდა, რადგან არჩევნების პერიოდი იყო, რის შემდგომაც ვ. დ. თავად წავიდა სასამართლოში და მოიკითხა თავისი საქმის მდგომარეობა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ ადვოკატს განმეორებით სარჩელით არ მიუმართავს სასამართლოსთვის და მისი საქმე უკვე არქივს გადაეცა.

2.6 მოწმის განხცადებით, მან სთხოვა ადვოკატს დაებრუნებინა ჰონორარის ნაწილი, გამოეკლო დღგ-ს თანხა, თუმცა ადვოკატმა განუცხადა, რომ გადახდის საშუალება არ ჰქონდა.

2.7 დ. ჭ.-ის განცხადებით, ვ. დ.-ს უკავშირდებოდა ადვოკატის თანაშემწე და ეუბნებოდა რომ თანხას ჩაურიცხავდა ანგარიშზე, შემდეგ კი არც ადვოკატი ეკონტაქტებოდა და თანხის გადმორიცხვაზე უარს აცხადებდა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ლ. ბ.-მ 2018 წლის 26 მარტს წარმოადგინა წერილობითი ახსნა- განმარტება, რომლის მიხედვით, მან ვ. დ.-სთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატის განცხადებით, მან თავად შეადგინა საჩივრის ავტორის საქმის თაობაზე სარჩელი, თუმცა მასში არ მიეთითა წარმომადგენლის მონაცემები, რადგან აღნიშნული მისი, როგორც ადვოკატის მიერ არჩეული ტაქტიკით იყო განპირობებული. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს მის სახელზე არ ჰქონდა გაფორმებული მინდობილობა და შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ვერ მიუთითებდა წარმომადგენლის გრაფაში მის მონაცემებს.

3.2 ადვოკატის განმარტებით, მან მიიღო ვ. დ.-ისგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარი. ადვოკატ ლ. ბ.-ს განცხადებით, მან არაერთი განცხადება მოამზადა და შეადგინა სარჩელი ვ. დ.-ის საქმეზე.

3.3 ადვოკატის განცხადებით, ის უარყოფს იმ გარემოებას, რომ არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. ადვოკატი საგადასახადო თანხის გამოკლებით აპირებდა გადახდილი ჰონორარიდან მცირე თანხის დაბრუნებას, თუმცა აღნიშნულის თაობაზე ვერ შეუთანხმდა ვ. დ.-ს. ადვოკატის განცხადებით, მისი სტუდენტი ურიცხავდა თანხას ვ. დ.-ს, თუმცა ვერ შეთანხმდნენ, რადგან ის ამბობდა, რომ მას ადვოკატი აშანტაჟებდა.

3.4 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ შედგენილი სარჩელი სასამართლოში წაიღო ვ. დ.-მ და რამდენიმე დღის შემდგომ შეიტანა სოციალურად დაუცველის ცნობა, თუმცა აღნიშნულ ცნობას აქვს 15 დღიანი ვადა და ამის გამო, სასამართლომ მოითხოვა ახალი რიცხვით ცნობა. ადვოკატის განცხადებით, ის საჩივრის ავტორს შეუთანხმდა სარჩელის მომზადების და იურიდიული კონსულტაციის გაწევის თაობაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ლ. ბ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

4.2 ვ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 19 მარტს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი და არსებობს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა .

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: საჩივრის ავტორმა თავად შეადგინა სარჩელი მის საქმესთან დაკავშირებით და წარადგინა სასამართლოში, ადვოკატმა ლ. ბ.-მ არაფერი გააკეთა, მათ შორის განმეორებით არ მიმართა სასამართლოს სარჩელით და არ დაურთო მის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული ცნობა; ადვოკატმა არ დააბრუნა გადახდილი ჰონორარი.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

6.4 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების გაწევა უნდა შეწყვიტოს ეთიკური ვალდებულებების დაცვით და არ დააზიანოს კლიენტის ინტერესები.

6.5 მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტების მიხედვით, ვ. დ. და ადვოკატი ლ. ბ. შეთანხმდნენ იურიდიული მომომსახურების თაობაზე. 2017 წლის 18 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება (ს.ფ.05). მხარეთა პოზიციის მიხედვით და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა ჰონორარის სახით 500 (ხუთასი) ლარი, (2017 წლის 16 ივნისის სალაროს შემოსავლის ორდერი; ს.ფ.06). ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პოზიციას მის მიერ გაწეულ იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სარჩელი მოამზადა არა ვ. დ.-მ, არამედ, თავად შეადგინა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც სასამართლოში წარადგინა საჩივრის ავტორმა. ვ. დ. უთითებს, რომ მხოლოდ მის მიერ იქნა სარჩელი შედგენილი და დოკუმენტები მომზადებული, თუმცა ამავე დროს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ ის ადვოკატის ოფისში რამდენჯერმე მივიდა და ადვოკატის თანამშრომლებმა გადასცეს „რაღაც დაწერილი, თუმცა ბევრი შეცდომებით“. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სარჩელი მოამზადა არა ადვოკატმა, არამედ ვ. დ.-მ. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, სასამართლომ უარი უთხრა ვ. დ.-ს სარჩელის განხილვაზე, იმ მიზეზით, რომ ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის მოსარჩელეს არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი ცნობა, კერძოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულება (2017 წლის 26 ივლისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს

განჩინება; ს.ფ.07). საჩივრის ავტორის პოზიციით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემდგომ, მან გადასცა ადვოკატს სოციალურად დაუცველის ცნობა, თუმცა ადვოკატმა დაპირების მიუხედავად არ მიმართა სასამართლოს სარჩელით და არ დაურთო აღნიშნული ცნობა. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის განმარტებიდან ირკვევა, რომ ცნობა მზად ჰქონდა საჩივრის ავტორს, თუმცა მოგვიანებით წარადგინა ვადაგასული ცნობა სასამართლოში.

6.6 განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მიუხედავად საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის გადარიცხული ჰონორარისა, ადვოკატმა არ გაუწია მას იურიდიული მომსახურება, მათ შორის ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი იურიდიული დოკუმენტი - სარჩელი მას არ შეუდგენია.

6.7 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ დისციპლინურ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ ლ. ბ.-ს მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა და არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე და ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხპის „ა" ქვეპუნქტით, 32-ე, 33-ე მუხლებით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილებით. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №026/18 ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/